წლიწადი პირველი

თბილისი, სამშაბათი 11 ივლისი, 1906 წ.

ცალკე ნომერი 3 კ.

# ახალი ცხოვრება

№ 17. ყოველდღიური გაზეთი № 17.

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

## „ახალ ცხოვრებაზე“.

**გაზეთი ღირებს:**

**თფილისში:** წლიურათ—5 მ., ექვსი თვით—2 მ. 50 კ., თვიურათ—50 კ.
**ქალაქს გარეთ:** წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

**ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба„.

## თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აუწყებს ყველა სახლის პატრონებს და კვარტირანტებს, რომ 1906 წ. 8 ივლისს დილიდან დაიწყება ქალაქის მცხოვრებთა აღწერა საოჯახო სიის შესადგენათ და სახლების და ეზოების სანიტარული მდგომარეობის გამოსაკვლევათ. ამ საქმის სასურველათ დაგვირგვინება დამოკიდებულია იმ დახმარებისგან, რომელსაც გაუწევენ სახლის პატრონებ და კვარტირანტები ქალაქის გამგეობის რწმუნებულთ. ქალაქის გამგეობას იმედი აქვს ამ დახმარების და სთხოვს მცხოვრებთ შეუფერხებლათ მიაწოდონ მის რწმუნებულებს ყველა ცნობები, რომელიც საჭირო იქნება ცალკე დაბეჭდილი ფურცლების მიხედვით. (3—2)

## დ. ხაშურსა და სურამში.

10 ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებზე წლიურათ, ნახევარი წლით და თვიურათ. გაიყიდება ცალკე ნომერიც.

**პორფილე მელაძე.**

### ბოიკოტი ბატულიანცს.

ჩვენ, თბილისის მუშა-ხარაზები ვაცხადებთ, რომ ყველა ხაზეინმა დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნები, გარდა ბატულიანცისა, რომელიც სხვა ხაზეინებზე მდიდარი და აბეზარია. ამიტომ ვუცხადებთ მას ბოიკოტს და მოვიწვევთ ყველა ამხანაგებსა და მოქალაქეებს ნუ იყიდიან ბატულიანცისაგან ნურც ჩუსტებს, ნურც ჩექმებს. ხარაზო ხაზეინებო! ნურც თქვენ იყიდით ბატულიანცისგან ტყავებს.

### რეაქცია მძვავდება,— მჭიდროთ შეერთდით!

9 ივლისს რეაქციამ სათათბირო დაითხოვა. ხალხს უფლებები უნდოდა, ის ნამდვილ პარლამენტს ითხოვდა, მაგრამ რეაქციამ იმედები გაფანტა და ცრუ პარლამენტიც კი წაართვა. ამით მან ქვეყანასამცნო, რომ ვისაც უფლებები უნდა, ის ბრძოლისთვის უნდა ემზადებოდეს.

სათათბირომ გაცასჭრა ხალხთან კავშირი აღადგინა, ის ერთგვარ მოწოდებას ადგენდა, საცაც ხალხს თავის ულონობას შესჩივლებდა და დახმარებას შოსთხოვდა,—აქ, რა თქმა უნდა, საკვირველი არაფერია – მაგრამ რეაქციამ აღარ დააცადა, მან 9 ივლისის მანიფესტით აქაც იმედები გაფანტა და მით ქვეყანას ამცნო, რომ ჯერ კიდევ სულდგმულობს ძველი და ბებერი თვითმპყრობელობა, ჯერ კიდევ არ შემოსულა ჩვენში პარლამენტარული ცხოვრება.

მაგრამ რეაქციამ ეს არ იკმარა.

მუშების და გლეხების გაზეთები „ერთი დაკვრით“ დახურა. მათი თანამშრომლები ციხეში გაისტუმრა. მუშათა მოძრაობის ორ დიდ ცენტრს, მოსკოვსა და პეტერბურგს, „გაძლიერებული დაცვის წესები“ უწყალობა, ხოლო გლეხთა მოძრაობის ცენტრს, კიევის გუბერნიის 12 მაზრას—„სამხედრო დროის წესები“.

ბრძოლა მუშებსა და გლეხებს! სისხლი მუშებსა და გლეხებს! აი რას ამბობს რეაქცია.

და რომ განზრახვის შესრულება თამამათ გაიადვილოს, რომ ხალხის ხელში დაჭერა აქედანვე შესაძლებელი დარჩეს, რეაქცია ფაცი ფუცით იზიდავს პეტერბურგისკენ დრაგუნებსა და პულემიოტებს. ამავე დროს ხმები ვრცელდება, რომ ტრეპოვის მაშინა ამუშავდება და საერთო პაგრომები დაიწყებაო...

ცხადია, რეაქცია თავდასხმის გზას დაადგა – ის დეკემბრის ისტორიას იმეორებს. მან უკვე მოასწრო კამარილას მოწყობა, მან გარშემო შემოიკრიბა ბნელი ძალები, მან „ცოტა რამ“ ფულებიც იშოვა სულის მოსაბრუნებლათ და აი, დღეს თავით ფეხამდე შეიარაღებული, გარეშე მტრისგან თავისუფალი, თავს ესხმება რევოლიუციას. მას უნდა პროვოკაციური ზომებით ააღელვოს ხალხი, მას უნდა ნაადრევი გალაშქრება გამოიწვიოს, ხალხი მოუმზადებლათ გამოიყვანოს ბრძოლის ველზე, და შემდეგ ხელები დაიბანოს ხალხის სისხლში, „სამარე გაუთხაროს“ ხალხის თავისუფლებას.

რეაქციას უნდა „დეკემბრის დამარცხება“ დაგვატეხოს თავზე.

როგორ უნდა შევხვდეთ ამ გარემოებას, რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ?

მარქსი ამბობდა: როცა რეაქცია ტაშს უკრავს, რევოლიუციის ვალია პოზიციებზე გამაგრდეს და აუჩქარებლათ ემზადოს—ის არას დროს არ უნდა ათამაშდეს რეაქციის დუდუკზე.

რეაქცია თავს გვესხმება და ბრძოლა-

**სახელმწიფო სათათბირო გარეკა კამარილამ.—გორემიკინი გადადგა.—პრემიერათ სტოლიპინი დაინიშნა.—პეტერბურგში და მოსკოვში განსაკუთრებული დაცვის წესები გამოცხადდა.—სათათბიროს წევრები ფინლიანდიაში გაემგზავრენ.—პოლიტიკური პარტიები სადღეისო ტაქტიკის შემუშავებას შეუდგენ.—მეფის მანიფესტი**

ში გვიწვევს,—მაშასადამე ჩვენი ვალია მჭიდროთ შევერთდეთ და დაუღალავათ ვამაგროთ ჩვენი ორგანიზაციები.

რეაქცია პროვოკაციის ქსელს აბამს, – მაშასადამე, ჩვენი ვალია არ ავჩქარდეთ, წინდახედულათ ვიმოქმედოთ და გაძლიერებულათ ვემზადოთ მომავალი ბრძოლისთვის, გადამჭრელი ბრძოლისთვის.

რეაქციამ სათათბირო დაითხოვა,— მაშასადამე ჩვენი ვალია აღარ დავჯერდეთ მომავალში სათათბიროსთანა ცრუ პარლამენტს და უფრო თავგამოდებით ვიბრძოლოთ ნამდვილი პარლამენტისთვის, დემოკრატიული რესპუბლიკისთვის.

მუშებო! მჭიდროთ შემოკრბით თქვენი ორგანიზაციების გარშემო და ემზადეთ, გაძლიერებულათ ემზადეთ მომავალი ბრძოლისთვის!

გლეხებო! მჭიდროთ შემოკრბით მუშების გარშემო და ემზადეთ, მუშებსავით ემზადეთ!

სიფხიზლე და წინდახედულობა, დაუღალავი მზადება და მოფიქრებული ბრძოლა დემოკრატიულ რესპუბლიკისთვის, სოციალიზმისათვის—აი რა გვინდა ჩვენ.

დეე რეაქციამ იცოდეს, რომ მუდამ მის დუდუკზე არ ითამაშებენ მუშები და გლეხები.

**კობა.**

## სადღეისო კითხვები.

### 9 ივლისის მანიფესტი

შეწევნითა ღთისათა ჩვენ, ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიათ რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლანდიისა და სხვა და სხვა., ვაცხადებთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთა საყურადღებოთ: ნებითა ჩვენისათა მოწვეულ იყვნენ აღსაგებათ საკანონმდებლო შენობისა პირნი, არჩეულნი მცხოვრებთა მიერ. დავენდევით რა წყალობასა ღთისასა, ჩვენ გვრწამდა ნათელი მერმისი ჩვენი ხალხისა და შრომისაგან ხალხის წარმომადგენელთა მოველოდით ნაყოფსა კეთილსა და სასარგებლოსა ქვეყნისათვის ჩვენისა. დარგთა შინა ცხოვრებისა ხალხისა წინათ განზრახულ იყვნენ ჩვენ მიერ ცვლილებანი ფრიადნი, რომელთა შორის უპირველესი ალაგი ეჭირა უმთავრესს ზრუნვასა ჩვენსა, განათლებისა ნათელით და მიწათმოქმედების პირობათა შემსუბუქებით განვეფნია ბნელეთი ხალხისა. განზრახვათა ჩვენთა წილათ ხვდა გამოცდა მძიმე. არჩეულნი მცხოვრებთა მიერ ნაცვლათ კანონმდებლობითი მუშაობისა შეუდგნენ ჩვენ მიერ დაყენებულ ადგილობრივ მმართველთა მოქმედებათა განხილვას და წუნის დადებას ძირითაათ კანონებისა, რომელთა შეცვლა მარტოოდენ ჩვენს მეფურ ნებასა ზედა არს დამოკიდებულ და იწყეს მოქმედება უკანონო და სახელითა სათათბიროსათა მიმართეს ხალხსა. ესოდენ უწესოებათა მიერ გზა-აბნეულმა გლეხობამ წარიკვეთა რა სასო კანონიერსა განკარგებასა ზედა მდგომარეობისა თვისისა, იწყო მრავალთა გუბერნიათა წინა ძარცვა-გლეჯა აშკარა და მტაცებლობა ქონებათა სხვათა და ურჩობათ კანონისა და კანონიერ მმართველთა მიმართ. გარნა იცოდნენ ქვეშევრდომთა ჩვენთა. რამეთუ მარტოოდენ წესიერებასა და მშვიდობიანობასა შინა შესაძლო არს განკარგება მკვიდრი ცხოვრებისა ხალხისა. ყურად იღონ მათ, რამეთუ არ დავუშვებთ ჩვენ თვითნებობასა და უკანონობასა და ძალისამებრ სახელმწიფო ძლიერებისა ურჩთა კანონისათა მეფურ ნებასა ჩვენსა დავუმორჩილებთ. მოვიწოდებთ კეთილ მოაზრეთა რუსთა, რათა მხარის დაჭერათ კანონიერ მმართველობისა და აღდგენათ მშვიდობისა საყვარელსა სამშობლოსა ზედა ჩვენისასა. დე, ხელახლათ დამყარდეს სიწყნარე ქვეყანასა ზედა რუსთასა და გვეხმარებოდეს ჩვენ უზენაესი განხორციელებასა შინა უმთავრესისა მეუფისისა შრომისა ჩვენისა—დამყარებისა შინა კეთილ დღეობისა გლეხთა შორის. შეურყეველ არს ნება ჩვენი და შვილი მიწისა მოიღებს შეუკვეცელთ საკუთრებისა სხვისისა კანონიერსა და პატიოსანსა ღონის ძიებისა, რათა გააფართოვოს მიწათ მოქმედება თვისი იქ, სად ფრიად საგრძნობელ არს სივიწროვე მიწისა. პირნი სხვათა წოდებათა მოწოდებისამებრ ჩვენისა შეეცდებიან ყოველი ძალი და ღონე მოახმარონ განხორციელებისა საბოლოო ამა მიზნისა, რომელი აღსრულების ახლად მიწვეულ სახელმწიფო სათათბიროსა მიერ. ხოლო ჩვენ, ვითხოვთ რა აწინდელ შედგენილობასა სახელმწიფო სათათბიროისა, ვაცხადებთ მტკიცე გადაწყვეტილებასა ჩვენისა, რომელ კანონი შესახებ ამ დაწესებულების დაარსებისა დარჩება ძალსა შინა და ბრძანებისამებრ ამის ჩვენისა, რომელი ბოძებულ არს 8-სა ამა ივლისისა უმართებულესი სენატისადმი ვაცხადებთ დღესა ხალი სათათბიროს მოწვევისა თებერვალსა 8-სა 1907 წ. სასოებისამებრ შეურყეველისა წყალობასა ზედა ღვთისასა და სიბრძნესა ზედა რუსეთის ხალხისასა ჩვენ ველოდებით განხორციელებასა იმედებისა ჩვენის ახალ სახელმწიფო სათათბიროს მიერ და განახლებულ რუსეთის მოთხოვნილებათა შესაფერ ცვლილების შეტანასა კანონმდებლობასა შინა ქვეყნისა ჩვენისა. ძენო ერთგულნო რუსეთისანო! მეფე თქვენი ვითარცა მშობელი ძეთა თვისთა, მოგიწოდებს თქვენ, რათა მჭიდროთ შეუერ-

თდეთ მას შრომასა შინა განახლებისა და აღორძინებისა სამშობლოისა წმინდისა ჩვენისა. გვრწამს, რამე თუ მოგვევლინებიან აზრნი და საქმენი ფრიადნი (აქ რამდენიმე სიტყვა დამახინჯებულათ გადმოსცა ტელეგრაფმა)... და შრომისამებრ თავდადებულისა გაბრწყინდება დიდება ქვეყნისა რუსეთისა. ბოძებულ არს პეტერგოფს ივლისსა 9 სა დღესა, ჟამსა შემდგომ ქრისტეს დაბადებისა 1906 სა, ხოლო ხელმწიფებისა ჩვენისა მე-12-სა. დედანს მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის საკუთარი ხელით აწერს: **ნიკოლოოზ**

### ცდა ბედის მონახევრეა

ორთავიანმა არწივმა კვლავ წამოყო თავისი სისხლიანი ნისკარტი და მტაცებელი ბრჭყალები მოიმარჯვა. მან კამარა შეჰკრა და განავარდებას ეპირება სწორეთ ისე, როგორც დეკემბრის პირველ რიცხვებში.

როგორც დეკემბრის გამოლაშქრებისას, ისე ახლაც—რეაქციამ უპირველეს ყოვლისა სახალხო გაზეთები დახურა. მან კალმის ერთი გასმით მოსპო თავისი დაუძინებელი მტერი — თავისუფალი სიტყვა და ამით ამცნო ქვეყანას: მიფრთხილდი, საომრათ ვემზადებიო. პირველ ნაბიჯს მოჰყვა მეორეც და აი გუშინ დეპეშამ ამბავი მოგვიტანა, სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილია და პეტერბურგის გუბერნიაში განსაკუთრებულ დაცვის წესები გამოცხადდაო

რეაქცია აშკარა ომს უცხადებს რუსეთის ხალხს, საომრათ იწვევს პროლეტარიატს და გლეხობას. ვერაგ მტერს სურს გაიმეოროს დეკემბრის და იანვრის ამბები.

მშვიდობიანმა საშვალებამ—სახელმწიფო სათათბირომ—ვერ ჩააცხრო რევოლიუციის ქარტეხილი. რევოლიუცია თავისი გზით წავიდა, კიდევ დ კიდევ უფრო გააძლიერა, უფრო აშალა და გააათრა ხალხის რისხვის ტალღები. რაკი მშვიდობიანმა ოინმა არ გასჭრა, რაკი სათათბიროს შემწეობით ვერაფერს გახდა მთავრობა, ისევ ძველ, ნაცად საშვალებას მიმართა მან და კვლავ ლესავს მახვილს ხალხის ყელის გამოსაჭრელათ.

დღევანდელი ვითარება ძალიან განსხვავდება დეკემბრის რეაქციის დროს მდგომარეობისაგან და მთავრობა მაშინდელათ იაფათ ვერ დაიჯენს ახლანდელ გამოლაშქრებას. მაშინ ბრძოლის ველზე პირის-პირ იდგენ ერთის მხრით დაგეშილი და შეუგნებელი ჯარებით ზურგ-გამაგრებული რეაქცია და მეორე მხრით მხოლოთ პროლეტარიატი. ლიბერალური ბურჟუაზია პილატესავით ხელს იბანდა და ნიშნის მოგებით უცქეროდა პროლეტარიატის „რევვნულ" ბრძოლას. გლეხობა ჯერ კიდევ შეუგნებლობის ბურუსში იყო გახვეული, მისი ხელმძღვანელი მხოლოთ მისი ალღო იყო, ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო, სავსებით ვერ გაერჩია თავისი მტერი და მოყვარე, ამიტომ სათანადო მონაწილეობას ვერ ღებულობდა ბრძოლაში და უფრო კვნესოდა და გმინავდა დამსჯელ რაზმთა ულმობელ მათრახებით, პულემიოტებით და დარბევა-აწიოკებით გამწარებული.

სულ სხვაა ახლა: სათათბიროს გარეკით მთავრობამ ყური მოიყრუა არა მარტო პროლეტარიატის და გლეხობის მოთხოვნათა წინაამდეგ, მან გადაჭრილი უარი განაცხადა აგრეთვე სრულიათ უმანკო ლიბერალურ რეფორმებზე და ამნაირათ ოჰპოფი კადეტები თავის აშკარა მოწინაამდეგეთა ბანაკში ჩააყენა. ამის და გვარათ რეაქციამ ხელახლა დააბრუნა ძალთა ისეთი განწყობილება, როგორიც 17 ოქტომბრამდე სუფევდა. ბრძოლის ველზე ამ ჟამათ შემდეგი სურათი იხატება: ერთის მხრით კამარილა თავის პოლიცია-ჯარითურთ, მეორე მხრით: პროლეტარიატი, გლეხობა და ლიბერალური ბურჟუაზია. მიიღეთ აგრეთვე მხედველობაში, რომ მთავრობის ბურჯი „ქრისტეს მოყვარე მხედრობა" გაცილებით უფრო შერყეულია, ვინემ დეკემბერში, გლეხობა ბევრათ უფრო შეგნებულია და აშკარათ ხედავს თავის მტერს და დაინახავთ, თუ როგორი გულადი, თავხედური ნაბიჯის გადადგმა განუზრახავს მოთმინებიდან გამოსულ კამარილას. ეს ნაბიჯი უკანასკნელი ცდაა ორთავიანი არწივისა, რომელმაც კარგათ იცის, რომ „ცდა – ბედის მონახევრეა" და არავითარ საშვალებას არ დაზოგავს თავის ბედის გასაჭედათ, მარა მას ავიწყდება, რომ „სადაც არა სჯობს—გაცლა სჯობს კარვაჟკაცისათვის".

## ახალი ამბები

გუშინ წინ თფილისში გავრცელდა მოულოდნელი ამბავი დუმის დათხოვნის შესახებ, რაიც ჯერ-ჯერობ თ აღშფოთებასა და განცვიფრებას იწვევს. ხმა დადიოდა აგრეთვე, რომ დღესვე საალყო დროის წესების შემოღებას აპირებენო. ა ეგ ხმების გავრცელებას ისიც უწყობდა ხელს, რომ დილიდანვე ქალაქის ქუჩებზე ჩვეულებრივ პატრულებს გარდა დრაგუნებიც გამოიყვანეს. დიდი და პატარა დიდს საგონებელშია ჩავარდნილი, ყველა რაღაც არაჩვეულებრივი ამბების მოლოდინშია და ერთმანეთს ეკითხებიან: რა იცით, რას აპირებენ, რა მოხდება?

✦ უმუშაოთ დარჩენილ ინტელიგენტთა ბიურო სთხოვს საოჯახო სამხედრო აღწერისათვის ჩანიშნულებს, გამოცხადდეს დღეს ცხრა საათზე საბჭოს დარბაზში აღწერისათვის საჭირო ბლანკების მისაღებათ. ასეთივე ბილეთების მისაღებათ 1 საათზე. აქვე უნდა გამოცხადდენ სანიტარულ აღწერისათვის ჩანიშნულებიც. აგრეთვე სთხოვენ უსაქმოთ დარჩენილებს, რომ კანცელარიაში ნუღარ გამოცხადდებიან.

✦ სომხების საეკლესიო დღესასწაულის გამო დღეს სომხური გაზეთები არ გამოდიან.

✦ 9 ივლისს საღამოს 6 საათზე ვაზნესენსკის მოედანზე მოულოდნელათ დაფრთხა ხალხი, მიზეზი ის იყო, რომ ვიღაც ჯიბგირმა საათი ამოაცალია ერთს გამვლელთაგანს და გაიქცა. იქვე მდგომმა პოლიციელმა შესაშინებლათ რევოლვერი გაისროლა, რამაც დააფრთხო თურმე ხალხი

✦ 8 ივლისს სასტუმრო „როსიაში" დაატუსაღეს მოსამსახურე ბოხიაშვილი და მისი სამი ამხანაგი.

✦ 9 ივლისს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში ექიმმა ხატისოვმა წაიკითხა ლექცია ქალაქის სანიტარულ აღწერის თაობაზე. ორატორმა გაარკვია მნიშვნელობა სანიტარულ აღწერისა, და აუხსნა მსმენელთ თუ როგორ უნდა სწარმოებდეს ასეთი აღწერა.

✦ უსაქმოთ დარჩენილ ინტელიგენტთა კომისია აცხადებს, რომ თუ რომელიმე უსაქმოთ დარჩენილთაგანი კმაყოფილია კომისიის მოქმედების, წარადგინონ ამის შესახებ წერილობითი განცხადება კომისიაში ადრესისა და გვარის აღნიშვნით.

✦ 10 ივლისს უმუშაოთ დარჩენილი ინტელიგენტები დაჰყვეს კატეგორიებათ სამუშაოს მიხედვით. ამ დღიდან ისინი ირიცხებიან ქალაქის სამსახურში და მიიღებენ ჯამაგირს დღეში 1 მ. 50 კ.

✦ გუშინ, დილის 10 საათზე, ნაძალადევში კაზარმების მახლობლათ მოკლეს პოლიციელი, თოფი აართვეს. ფიქრობენ, რომ ეს პროვოკატორული მიზნით უნდა იყოს.

✦ სათავად-აზნაურო გიმნაზიის აკლების დროს დატუსაღებული მასწავლებლები, ღლონტი, აბულაძე და გორგაძე გაანთავისუფლეს, რადგან ბრალდებას ვერ უმტკიცებდენ. ამათში მძიმედ დაჭრილია აბულაძე, ღლონტი კი მსუბუქათ. გიორგაძე არ არის დაშავებული.

✦ 9 ივლის, საღამოს, თბილისის სადგურზე მატარებლიდან ჩამოსვლის დროს ვიღაც უცნობმა ხანჯალი დასცა გულში კუმისის სადგურის „დაროჟნი მასტერს" ღვინიაშვილსა და სიკვდილით დასჭრა. მომაკვდავი საავადმყოფოში წაიყვანეს. მკვლელი მიიმალა.

✦ ს გერიუსიდან (ზანგეზურის მაზრა) ჰანჩაკისტების კავშირის კომიტეტი დეპეშებით ატყობინებენ, რომ ჰანჩაკისტებს თავს დაესხა დროშაკისტები მოჰკლეს სამი, მძიმედ დასჭრეს ოთხი, უნდათ ჩვენი (ჰანჩაკისტების) აქედან გაძევება. ხოცვა-ჟლეტა ჯერ კიდევ არ შეჩერებულა. სთხოვენ რაიმე განკარგულება მოახდინეთო.

✦ როგორც ბორჯომიდან იტყობინებიან, იქ სალდათს კ. გოაბეცვის თოფის ტყვიით უცაბედათ მოუკლავს სალდათი დროშმანოვი.

✦ 9 ივლისს ყორღანოვის ქუჩაზე თავისავე სახლში მოუკლავთ დეისტ. სტატ. სავეტნიკი რჩეულოვი, ვის ან რისთვის მოუკლავთ არ იციან.

✦ 8 ივლისს დანიშნული ფარმაცევტების კრება არ შესდგა რადგანაც უმრავლესობა არ დაესწრო. დაინიშნება შემდეგი კრება.

✦ 8 ივლისს საღამოს ქალაქის თვითმართველობის სადგომში მოხდა კრება ტრაქტირების, სარდაფების და სასმელების გამყიდველ დაწესებულებათა პატრონებისა და მათ მოსამსახურეების წარმომადგენლების. ხაზეინებმა დააკმაყოფილეს მოსამსახურეთა ყველა მოთხოვნილება. რის გამოც 9 ივლისიდან გაფიცვა აიხსნა.

### ქუთაისის ციხე.

ჩვენ, ქუთაისის საპყრობილეში დაპატიმრებულნი მოვითხოვთ:

1. ზრდილობიან მოპყრობას ციხის ადმინისტრაციისაგან.
2. საჭმელის გაუმჯობესებას და განსაზღვრულ ნორმაზე დარიგებას.
3. მორიგის არჩევის უფლებას სამზარეულოში თვალყურის სადევნელათ.
4. საჭირო ნივთების საყიდლათ ბაზარში ამორჩეულ პირის გაგზავნას, რომელსაც ციხის ადმინისტრაცია ენდობა (არტელშჩიკი).
5. პირობების გაუმჯობესებას ციხის საავადმყოფოში, საჭირო მედიკამენტების შეძენას და ჯეროვან თვალყურის დევნებას ავადმყოფთათვის.
6. ციხის ეზოდან „პარაშკას" გატანას და მის დეზინფექციას და გასუფთავებას.
7. მნახველების მიღებას პირველ მოაჯირიდან და ყოველ დღე.
8. ცენზურისაგან ნებადართულ ყოველგვარ წიგნებით და პერიოდულ გამოცემებით სარგებლობას.
9. თვეში ოთხჯერ აბანოს.
10. სამხედრო გაუპტვახტზე გადაყვანილი ჩხიკვიშვილის დაბრუნებას.
11. გამოძიების აჩქარებას და ტუსაღთა განთავისუფლებას, რომელთაც აქნობამდის ბრალდების ოქმი არ მიუღიათ და თუ არის რამე მათ საწინაამდეგო, გადაეცეს სასამართლოს, ხოლო მანამდის განთავისუფლებულ. იქმნენ თავდების ქვეშ.

ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამდე ვაცხადებთ სიმშილობას.

ყველა „უგოლოვნი" და პოლიტიკური ტუსაღი (400 მეტია) გაფიცულები არიან.

—

გაფიცულები ციხეში უკვე დააკმაყოფილეს და შიმშილობა მოსპეს. მოთხოვნილებანი ყველა დააკმაყოფილეს ორის გარდა: ერთი ბენია ჩხიკვიშვილის განთავისუფლება და მეორეც ნებართვა გაზეთების ციხეში შეტანისა და კითხვის. გაფიცულნი იყვნენ როგორც პოლიტიკურები, ისე „უგოლოვნები".

## კავკასია

**ბათუმი.** ამ ორი თვის წინათ შლიაპების სახელოსნოს პატრონ ქ. პლიტნიკოვისა და მის ხელოსან-ქალებს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის ძალითაც სახელოსნოს პატრონს არ ჰქონდა უფლება დაეთხოვა მუშა-ქალი არა სეზონის დროს. მიუხედავათ ამისა პლიტნიკოვისამ 10 დღეა რაც დაითხოვა ერთი ხელოსანი ქალი. დათხოვნილს მხარი დაუჭირეს ამხანაგებმა, გაიფიცნენ და მოითხოვეს ამხანაგის ადგილზე დაბრუნება. პლიტ. არ დააკმაყოფილა გაფიცულები და მოლაპარაკებაზე უარი განაცხადა. მაშინ ორგანიზაციამ უკანასკნელ ზომას მიმართა: მეოთხე რაიონულ ორგანიზაციამ 7 ივლისიდგან ყველა ალაგებს პლიტნიკოვის სახელოსნოში სასტიკი ბოიკოტი გამოუცხადა. ბოიკოტი აქვს გამოცხადებული როგორც გაფიცულების ალაგებს, აგრეთვე საქონელსაც, სანამ ყველა მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ იქნებიან.

პროლეტარიატის ორგანიზაცია და ინტერესთა შეგნება ისეთი სისწრაფით და ღრმათ მიექანება წინ, რომ არ დარჩენილა არც ერთი დარგი წარმოებისა, სადაც პროფესიონალური კავშირი არ შემდგარიყოს, სადაც გაფიცვა არ გამოეცხადებიათ და არ მოეგოთ. ისეთმა ჩამორჩენილმა მუშებმა, როგორიც დღემდის იყვნენ მჭედლები, „კოლესნიკები" და სამჭედლოებში მომუშავე მღებრავებმაც გამოიღვიძეს. ეხლა მათაც აიმაღლეს ხმა ხაზეინების წინაამდეგ, მათაც გამოუცხადეს სასტიკი ბრძოლა თავიანთ ხაზეინებს და ჩაებნენ კლასთა ბრძოლის ფერხულში.

გაფიცულებმა შემდეგი მოთხოვნილებები წამოაყენეს.

1. მუშაობა უნდა იწყებოდეს დილის 6 საათზე და თავდებოდეს საღამოს 6 საათზე: დილით შესვენება ½ საათია. შუადღისას 1½ საათით.
2. კვირა უქმე დღეებში სრულიათაც აიკრძალოს მუშაობა,
3. სრულ ოსტატებს დღიურებს უნდა ეძლეოდეს 1 მ. 60 კ. დღეში – თვიურებს 35 მ.—40 მანათამდის თვეში.
4. უროს დამრტყმევებს თვიურებს 25 მან. დღიურებს 1 მ. 20 კ.
5. თუ ხაზეინმა მოისურვა მუშის გაშვება, მაშინ ეს მუშას ორი კვირით ადრე უნდა გამოუცხადოს, და თუ მოულოდნელათ უშვებს ორი კვირის ჯამაგირი უნდა მისცეს წინდაწინ.
6. შეგირდათ უნა იღებოდეს ბავშვი არა ნაკლებ 15 წლისა.
7. შეგირდობის დრო გრძელდება სა-

მი წელიწადი.

შენიშვნა: უკვე მიღებული ძველი მეგირდებიც მიუხედავათ დიდ ვადიან პირობებისა, უნდა იყვეს შეგირდათ სამი წელიწადი.

8. შეგირდებს თვეში უნდა ეძლეოდეს 5 მან. ტანისამოსისთვის, აბანოსთვის, თავის საკრეჭათ,

9. შეგირდის ხარჯი და ბინა ხაზეინისა უნდა იყოს.

10 ხაზეინებს არ აქვს უფლება ამუშაოს შეგირდები თავის ოჯახის საქმეებზე.

11. ზრდილობიანი მოპყრობა.

12. ამ გაფიცვის განმავლობაში მუშებს მიეცეს სრული ხელ-ფასი.

თითქმის ასეთივე მოთხოვნილებები წარუდგინეს ამ დღეებში სტალიარებმა თავთავიანთ ხაზეინებს. ყველა მოთხოვნილებები დააკმაყოფილეს.

ა—ნ.

—

**რაჭა.** 2 ივლისს ს. ტოლაში ყიფიანების სადარაჯოთ დაყენებული სამი დარაჯი-ლეკი წასულიყვნენ ლეჩხუმისკენ უთოფოთ და უცხენოთ სასეირნოთ(?)... სალარცვავათ. უკან რომ ბრუნდებოდნენ, გამოუდგა ორი სოფელი. გადასულიყვნენ სიმინდებში და იქიდან აეტეხათ რევოლვერებით სროლა. ტყვია-წამალი მალე შემოკლებოდათ. ლეჩხუმელებს ორისთვის ძლიერ ეცემნათ კეტებით, ასე რომ ტოლაში „ლინეიკით“ მოიტანეს. იქ ფერშალი დაიბარეს. მესამე დარაჯი ნაცემი კი არის, მაგრამ ცხენზე ჯდომა შეუძლია. მოკლულია ერთი ტოლელი გლეხი, ერთიც მძიმეთ დაჭრილი,—ორივე ხანჯლით. ბოქაული, მაზრის უფროსი და ფერშალი 3 ივლისს იქ წავიდნენ.

—

**ქვემო რაჭა.** მკითხველებს მოეხსენებათ, თუ როგორი სისასტიკით მოეპყრო რეაქციონური მთავრობა ქუთაისის გუბერნიას საერთოდ და კერძოდ რაჭის მაზრას. ეხლა-კი, როდესაც რეაქცია დღითი-დღე სუსტდება და ხალხი ძალას იკრებს, საკმარისია სულ მცირე მიზეზი, რომ ამდენი საზიზღრობის მნახველმა და მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა შური იძიოს და ერთი ათად უზღოს თავის მტრებს.

სწორეთ ასეთ შურის ძიებას უნდა მიაწეროთ ის თავზარ-დამცემი ტერორი, რომელიც ასე გამეფდა რაჭაში ამ უკანასკნელ ხანებში. ამ ერთი თვის განმავლობაში აქ მოხდა ექვსი თუ შვიდი მკვლელობა.

12 ივნისს, დღისით, ს. ხვანჭკარაში მოკლეს ლუარსაბ ყიფიანი და ლევან ყიფიანის ცოლი. რასაკვირველია, აქაური ადმინისტრაცია მიმართავდა იმ ზომებს, რომელიც აქვთ მიღებული საერთოდ, ე. ი. შეუდგებოდა ხალხის დარბევა-დაწიოკებას, რომ თვით მკვლელი თოფის სროლით არ ეცნობებია კაზაკებისათვის, რომ ის გაქცეული იყო სოფლიდან და იმალებოდა ტყეში. ამ მკვლელობით შეშინებულმა ყიფიანებმა დაიწყეს ერთ სახლში ცხოვრება და დაიყენეს მველ ბათ ექვსამდე საერობო დარაჯი. რეაქციის დროს წათამამებულმა დარაჯებმა იწყეს, ჩვეულებრივ, სოფლებში თარეში, რის შედეგიც იყო ის შეტაკება, რომელიც მოხდა ხალხს და დარაჯებს შუა 2-ივლისს. შეტაკების დროს მოკვდა ერთი ხალხის მხრივ, დარაჯები-კი დაიჭრენ სამნი, ორი—მძიმეთ, ერთი მსუბუქად (სამივე ლეკებია).

გარდა ამისა ამ ერთ კვირეში მოკლეს: ლალაშის გზაზე მღვდ. ანტონ ჩიჩხიანი, რომელიც ამ ორი თვის წინეთ დასჭრეს ქუთაისში; 2. ჯვარისაში—მერაბ წერეთელი და დასწვეს მისი სახლი, სადაც მოკლულის გვამი მთლად დაიწვა. ზარალი დაახლოვებით უდრის 25 ათას მანეთს. ბუგეულის დუქნებში მოკლეს კონსტან. გიორგობიანი. 6 ივლის წავიდა ბუგეულის საზოგადოებაში მაზრის უფროსი ოცი კაზაკის თანხლებით, ვნახოთ რა იქნება?

როგორც ირკვევა, ყველა ეს მკვლელობები, გარდა სტრაჟნიკების დაჭრისა, ჩაუდენია ახლად შემდგარ ტერორისტთა ჯგუფს, რომლებიც მოქმედებენ ორგანიზაციის გარეშე.

დროა გონს მოვიდენ ეს ახლად მოვლენილი არამკითხე „ტერორისტები“! მათ მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ძლიერ ცუდი შედეგი, რომელიც შეავიწროვებს ისედაც შევიწროებულს და აწიოკებულს ხალხს.

ილიკო მენაბდიშვილი.

—

P. S. სიმართლის აღსადგენათ ეს მოკლე შენიშვნაც დაუმატოთ ამ კორესპოდენციას „ლამპარის“ მე 52 ნომერში ბ. თელანქლისაგან გამოგზავნილ ქვ. რაჭის კორესპონდენციაში იყო ნათქვამი, რომ 14 ივნის მღვ. ვლ. ფოფხაძის მეოხებით დაიჭირეს ამხ. თეოფილე კაკრიაშვილი, რომელიც დღესაც ონის ციხეში ზის. ზემოთ აღნიშნული ამხანაგი უკვე გაანთავისუფლეს ციხიდან და როგორც თვითონ აღიარებს, იმის დაჭერაში მღ. ფოფხაძეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

ამის შესახებ თვით კაკრიაშვილმა გაგზავნა შენიშვნა „ლამპრის“ რედაქციაში, მაგრამ ეს შენიშვნა ვერ დაბეჭდეს, რადგან გაზ. „ლამპარი“ დაიხურა.

ი. მ

# რუსეთი

—

**ჯარი და რევოლიუცია.** უმთავრესმა სამხედრო შტაბმა მიიღო კიდეც საჭირო ცნობები იმ პოლკებიდან, სადაც არეულობა ყოფილა. არეულობა მომხდარა: ლეიბ-გვარდიის 5 პოლკში, ქვეითა ჯარის 30 პოლკში, კავალერიის და ყაზახების 7 პოლკში, საპიორთა 5 ბატალიონში; ურჩი პოლკების სია ჯერ დასრულებული არ არის, რადგან გამოძიება არ დამთავრებულა და თითქმის ერთი ამდენი კიდევ არის გამოსაძიებელი.

— ჩვენმა მკითხველებმა იციან, როგორ დასაჯა ხელმწიფემ პრეობრაჟენსკი პოლკის ერთი ბატალიონთაგანი, რომელიც ახლა ს. მედვედში დგას. დარჩენილ ბატალიონებს კაცს აღარ აკარებდენ სიახლოვეს, რომ პოლკი არ „გაფუჭებულიყო“. მიუხედავათ ამისა პრეობრაჟენსკი პოლკის სალდათებს ერთხმათ დაუდგენიათ მოვითხოვოთ ამხანაგებისაგან სასჯელის ახსნა და მათი ჩვენთან დაბრუნებაო.

— პეტროპავლოვის ციხის ჯარის კაცებში ძლიერი მღელვარება დაიწყო. სალდათები აღარ უსმენენ თავიანთ უფროსების სიტყვას, სამუშაოზე აღარ დადიან და ნება დაურთველათ სეირნობენ.

— ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა შემდეგი ცნობა გაგზავნა სამხედრო სამინისტროში: ვინაიდან ადგილობრივ ჯარში ძალიან გაძლიერდა მღელვარება, ყოველ დღე აშკარა მიტინგები ხდება სალდათებისა და მუშების. ლოძიდან გამოწვეულმა ვარშავის პოლკმა ასეთი მოთხოვნა წარუდგინა უფროსებს: „ჩვენ უარს ვამბობთ ვარშავაში ვაჭ ხურზე, რადგან აქ იმისთვის დავუპარებივართ, რომ ჩვენივე ამხანავები—ვილნას პოლკის სალდათები „დავამშვიდოთო“. ჩვენ არ გამოვალთ აქედან, თუ რომ ჩვენი მოთხოვნა არ დააკმაყოფილეთ და ლოძში არ გაგვგზავნეთო“. გენ.-გუბერნატორი დასძენს, ლოძში გაგზავნა ამ პოლკის ძალიან საშიშია, რადგან აქ იქაური მუშები დაუახლოვდებიან ჯარსო.

— 30 ივნისს ს მხედრო სამინისტრომ საიდუმლო ცირკულიარი დაავზავნა. ამ ცირკულიარში ბრძანებაა, შეადგინონ სია ყველა შეგნებულ სალდათებისა ყველგან, ჯარის ყველა ნაწილებში.

— გაზ. „რუსკი ინვალიდი“ სწერს: „ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, წაერთვას მე-7 ცხენოსან პოლკს შტანდარტი, რომელიც 1902 წელში მიიღო ამ პოლკმა ჯილდოთ.

16 ივნისს კონტრ ადმირალ ვირენიუსმა ხელმწიფეს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მატროსები უქვეშევრდომილეს გრძნობს უცხადებენ ხელმწიფეს; ამის შესახებ გაზ. „მისლს“ შემდეგი წერილი მოუვიდა მატროსებიდან: 2 მთვრალმა მატროსმა მე-12 ფლოტის ეკიპაჟის კომანდირის ბრძანებით რაღაც დეპეშა გაუგზავნეს ვირენიუსს. ამ დეპეშის შინაარსი ვირენიუსმა გადაასწორა და ხელმწიფეს გაუგზავნა ჩვენი სახელით. ჩვენ ძალიან აგვაღელვა ამ „პადლოგმა“.

**გლეხთა მოძრაობა.** გლეხთა გაფიცვა დაიწყო: ნოვოგრუდსკის, პინსკის, პოლტავის და სლუცკის მაზრებში, სოფ. ბალიასნუში ყაზახები გამოიწვიეს; ძლიერი მღელვარებაა: ლუკოვის და სვიაჟის მაზრებში, როსლავის მაზრაში გლეხები გაიფიცენ. მარიამპოლის მაზრაში ძალიან გაძლიერდა გლეხთა მოძრაობა.

**გაიფიცენ:** ვარშავაში ყველა საკანდიტერო და საწერილმანო სავაჭროები, აგრეთვე ტყავის ქარხნები; ბრესტში გილზის ფაბრიკები, ჩერკასკში—მებულკეები, ბელოსტოკში—ტრამვაი; ოდესაში პორტის მენახშირეები; კრემენჩუგში მებულკეები და მეუნაგირეები.

— დეპუტატს სედელნიკოვს მიუღია დეპეშა კაზაკებისაგან, რომლითაც თხოულობენ მესამე და მეოთხე რიგის დათხოვნას. ისინი შეუძლებლათ სთვლიან სამარცხვინო პოლიციურ თანამდებობის ასრულების გაგრძელებას.

— გელსინგფორსიდან გაზ. „პუტს“ატყობინებენ, რომ იქ ჯარის კაცთა შორის ძლიერი მღელვარებაა, მიზეზი მღელვარებისა ოფიცრის მიერ ჯარის კაცის გალახვაა.

# უცხოეთი

—

ბელგია და ჰოლანდია პატარა სახელმწიფოებია ევროპაში, რომლებიც ერთმანეთის მეზობლათ არიან. წინათ ისინი ერთ სახელმწიფოს წარმოადგენდენ, მაგრამ 1830 წ. ბელგიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა ჰოლანდიიდან.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ერთმა ბრიუსელელმა პუბლიცისტმა აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ სასურველი და შესაფერისია, ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს დაუკავშირდენ, ერთათ დაიცვან თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები, ვინაიდან ორივე ეს სახელმწიფო მეტათ სუსტია სამხედრო მომზადების მხრით, გარშემო კი ძლიერი საშიში სახელმწიფოები არტყია.

თუ პირველათ ასეთ აზრს უარყოფით და დაცინვითაც კი შეხვდენ. ახლა საქმის ვითარებამ სხვანაირი მიმდინარეობა მიიღო. ბევრი გამოჩენილი პირი დიდი ყურადღებით უყურებს ამ კითხვას. ამ ახლო ხანში ორი კონგრესი უნდა მოხდეს—ბელგიაში იურისტებისა და ჰოლანდიაში ფილოლოგებისა და ლიტერატორებისა. ორთავე ამ კონგრესზე სხვათა შორის განსახილველათ დანიშნულია ეს საინტერესო კითხვაც.

საინტერესოა ამის შესახებ ვანდერველდის აზრი, რომელიც ბელგიის სოციალისტურ მუშათა პარტიის მეთაურათ ითვლება. მისი აზრით, სასურველია, რომ ბელგია და ჰოლანდია ერთმანეთს დაუახლოვდნენ ფოშტის დაკავშირებით, სამოქალაქო კანონმდებლობის გათანასწორებით და აგრეთვე სატამოჟნო ვალდებულებით. რაც შეეხება მშვიდობიან დროს სამხედრო კავშირს, ვანდერველდი წინააღმდეგია ამის, რადგანაც ეს მილიტარიზმის გაძლიერებას გამოიწვევს.

—

— გუშინ ათ ივლისს **ლონდონში** დაიწყებოდა ეგრეთ წოდებული მშვიდობიანობის კონგრესი. პირველათ არ ხდება ასეთი კონგრესი, რომელზედაც დიდი ზარითა და ზეიმით მიდიან ბურჟუაზიული პარტიები და მთელ ქვეყანას გაბედნიერებას პირდებიან,—პირდებიან ყველა სახელმწიფოთა შორის ზავის ჩამოგდებას და ომიანობის სამუდამოთ მოსპობას! ბევრ მომხიბლველ ფრაზებს ხარჯავენ ამ კონგრესებზე კაცობრიობაზე, მშვიდობიანობაზე და სხ. მაგრამ ჯერ გამოჩენილაც(?) არ არის ის მელანი, რომლითაც კონგრესის ოქმები იწერება და იგივე ორატორები სულ სხვა სამზადისს უდგებიან, თავისი გუშინდელი ფარისევლური სიტყვებისა სულაც არ სცხვენიათ და ომიანობას და უწყალო სისხლის ღვრას ძირიანათ იცავენ და ამართლებენ. ამ კონგრესზე ჩვენი „პარლამენტი“ სახელმწიფო სათათბიროც მიწვეულია. ამის გამო კადეტები და საზოგადოთ ყველა ბურჟუაზიული პარტიები ლამის გაგიჟდენ სიხარულით. დუმამ უკვე აირჩია ექვსი წევრი ამ კონგრესზე გასაგზავნათ. სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ უარი განაცხადა მათ არჩევაში მონაწილეობის მიღებაზე და მით ეს კონგრესი ფარისევლურ სალაყბოთ, ხალხის მოსატყუებელ კომედიათ ცნო. ამხ. რამიშვილმა განაცხადა, რომ საერთაშორისო პროლეტარიატს თავისი საკუთარი კონგრესები აქვს—(ეს გახლავთ საერთაშორისო სოციალისტური კონგრესები, სადაც იკრიბება მთელი ქვეყნის მუშათა წარმომადგენელნი). აი იქ მივიღებთ ჩვენ მონაწილეობასო. ამნაირათ სოციალდემოკრატები თავიდანავე უარყოფით შეხვდენ ამ კონგრესს. რა „სიკეთეს“ მოუტანს ხალხს ეს კონგრესი და საერთოთ რას „გააკეთებს“ ის, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

# პარტიის ცხოვრება

როგორც ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთ, ლატიშთა ს.-დ. მ. პარტია, რომელშიაც 10,000 პარტიის წევრი შედის მხარს უჭერს ბოლშევიკების ტაქტიკას. როგორც იტყობინებიან ფორმალურათაც ჩქარა შეუერთდებიან რ. ს. დ. მ. პარტიას.

# მუშათა ცხოვრება.

**მუშების წერილი.** ჩვენ, რკინის გზის მუშები, დაინტერესებულნი ს.-დ. ფრაქციების ორგვარ ტაქტიკის ღირსება-ნაკლულევანების გამორკვევაში, საჭიროთ ვსთვლით, რომ გულდასმით და სერიოზულათ ეწერნათ ორივე ფრაქციას თავიანთ ორგანოებში ყოველ მხრივი შეხებით, როგორც უკვე იწერებოდა ამ მოკლე ხანში, რათა ამგვარი მოქმედებით ჩვენ ხელმიუწვდენელ მუშებს შეგვძლებოდა რიგიანათ გამოგვერკვია ორივე

ტ ქტიკა, ჩვენი შეხედულება გვიგზავნიან და ცირსეულათ მიგვეჩნია ერთ ე თი მათგანი ამიტომ ყოველდღე სიხარულით ველით სოციალდემოკრატიულ გაზეთების მომტანებს, და დღეს კი ერთი იმ გაზეთებთაგანი, სახელდობრ „ახალი ცხოვრება“ არ მოუტანიათ გასასყიდათ არც ერთ დამტარებელს, რის გამოც იძულებული ვხდებით მოვითხოვოთ რა მიზეზით აღარ ატარებენ გასასყიდათ მე გაზეთებს. დაბრკოლება გაზეთის საშუალებით გვაცნობეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მიზეზ თ ჩავთვლით არა სასიამოვნო ფაქტებს და პასუხსაც მოვსთხოვთ მომიზეზეს.

**რედაქციის პასუხი.** სამწუხაროთ ვერ შეგვიძლიან დამაკმაყოფილებელი პასუხი მივცეთ ამხ. მუშ ბს. ჩვენ არ ვიცით, ჩვენ ვერ გამოვარკვიეთ რატომ არ მოაქვთ დამტარებლებს ნახალოვკისკენ, ამ „სოციალ-დემოკრატიის პარიჟისკენ“, სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ახალი ცხოვრება“. დამტარებლები ამბობენ, რომ „ყოველ დღე“ მიგვაქვსო. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ სხვა რაიონებიდანაც ჩივიან: რაღაც ვერ ვხედავთ „ახალ ცხოვრებასო“, ნეტა რა მიზეზიაო... მოგიწოდებთ, რომ შეძლებისადაგვარათ დაგვ ხმაროთ ამ ბუნდოვანი საქმის გამორკვევაში. რაც შეგვეხება ჩვენ, მუდამ მზათა ვართ არამც თუ ფულით, უფულოთაც გიგზავნოთ ჩვენი გაზეთი.

—

**ნავთლუღის გაჯის მკეთებელი მუშები.** ძნ ლი ასაწერია ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებიან ნავთლუხის გაჯის მკეთებელი მუშები. დილის ოთხი საათიდან საღამოს ექვს საათამდე ისინი შეუწყვეტლათ მუშაობენ გაჯის საწვავ ქურაში, რომლის ძლიერი ცეცხლი ჯოჯოხეთურ ტანჯვას იწ ევს. ქირა შედარებით მცირეა, მაგრამ ეს მცირე ჯამაგირიც დაუკლეს ხაზეინებმა ამ ბოლოს დროს—რვა მანეთიდან ექვს მანეთზე დაუწიეს. ეს კიდევ ცოტაა: წყალიც კი არ ემეტებათ ამ გაუმაძღრებს და ასეთ პირობებში მომუშავე მუშები იძულებული არიან ტბის აყროლებული წყალი სვან. მუშებმა გადასწყვიტეს მოითხოვონ თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება და შესაფერი მოთხოვნები წარუდგინონ თავის ხაზეინებს. აი ეს მოთხოვნები:

1. მუშაობა იწყებოდეს დილის ექვს საათზე და თავდებოდეს საღამოს ექვს საათზე.

2. დღეში საათნახევარი დასვენება სადილისთვის.

3. ჯამაგირი კვირაში ერთი თუმანი თითეულ მუშაზე.

4. ჯამაგირი დაუბრკოლებლათ ეძლეოდეს ყოველ შაბათობით.

5. სასმელი წყლის მოტანა ხაზეინის ხარჯზე.

**აბრამ.**

—

**შუაბაზრის მექუდეები.** შუაბაზარში მექუდეები—ქარგლები (16 კაცი) და შეგირდები (10 კაცი)—ამ თვის ოთხიდან გაიფიცენ და წარუდგინეს ხაზეინებს შემდეგი მოთხოვნები: 1) ქარგლებს მიემატოს მანეთზე 25 პროცენტი და 2) შეგირდებს—15 პროცენტი. რადგანაც მექუდეების პროფესიონალური კავშირი ჯერ არ იყო ოფიციალურათ გამოცხადებული, ეს გაფიცვაც მოხდა მის დაუკითხავათ. მაგრამ შემდეგ კავშირის დროებითმა ბიურომ გამოიკვლია ყოველივე წვლილი ამ გაფიცვისა, ურჩია ხაზეინებს დაეკმაყოფილებინათ ასეთი ზომიერი და მცირე მოთხოვნები მუშებისა, თუ არ უნდოდათ, რომ, წინა ღმდეგ შემთხვევაში, უფრო დიდ და ბევრ მოთხოვნილებით გაფიცვისთვის გ ეწ ათ ანგარიში. მაგრამ ხაზეინები გაჯიუტდნენ და არაფერი ღ სთმეს. კვირას, 9 ივლის ბიურომ მოიწვია უმეტესი ნაწილი მექუდეებისა და გადაწყდა. - ვინაიდან კავშირს ეს დრო არ მიაჩნია გაფიცვისთვის მოხერხებულ დროთ, ამიტომ გაფიცულ ამხანაგების დასახმარებლათ კავშირი საერთო გაფიცვას არ აცხ დებს, მაგრამ თავის გაფიცულ ამხანაგებს ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს, რომ გაჯიუტებული ხაზეინები გატეხოს და გაფიცულებმა მოიგონ. მით უფრო საჭიროთ მიაჩნია მას ასეთი ზნეობრივი და მატერიალური დახმარება შუაბაზარში მომუშავე ამხანაგ ბ სა, რომ მათი მდგომარეობა მეტათ ცუდი და აუტანელია სხვა მექუდეების მდგომარეობასთან შედარებით.

მექუდეების პროფესიონალური კავშირის ბიუროს მონდობილობით **მიხა.**

---

## ღ ი ა წ ე რ ი ლ ი

გაზეთ „ლამპრის“ რედაქციის წევრებს.

სამწუხაროთ მიმაჩნია თქვენთან პრესის საშუალებით კამათის გამართვა ასეთ საშინაო საქმის შესახებ, მაგრა თქვენც კარგათ იცით, რომ ეს ჩემი ბრალი არაა. მხოლოთ ეს უკანასკნელი საშუალება დარჩა ჩემ განკარგულებაში, სხვა საშუალებები ჩემთვის მიუწდომელი გამოდგა... მე მინდა ამ წერილით შეგეკითხოთ თქვენ: 1) ვინ უნდა იკისროს იმ ვალების გადახდა, რომლებიც „ელვის“ რედაქციისათვის ჩემი პასუხისმგებლობით იყო აღებული სხვა-და-სხვა სავაჭრო დაწესებულებათა და კერძო პირთაგან?

ამ კითხვის წამოყენება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ რედაქციისაგან გადაჭრილი პასუხი ვერ მივიღე. ჩემთვის ამ კითხვის გადაჭრას, ცხადია, მნიშვნელობა აქვს.

2) ზოგიერთი თქვენგანი ჩემზე ლაპარაკობს, ვითომ მე, როგორც ყოფილ მდივანს, „ელვის“ რედაქციისათვის ვალები დამედვას და საზოგადოთ რედაქციის საქმეები ცუდათ წამეყვანოს. ყოველსავე ამას მე ვთვლი უტიფარ ცილის წამებათ და ინტრიგანულ მოქმედებათ. მოვითხოვ ავტორმა (იგულისხმეთ ზაქარია და მისი ამყოლ-დამყოლები) დაამტკიცოს თავისი ნალაპარაკევი მე კი ჩემდა თავათ გავარკვევ, თუ ვისი მეოხებით და რა მიზეზებით დაედვა ვალი ხსენებულ რედაქციას. ზოგიერთებს დიდი სურვილი აქვთ თავი წმინდანათ მოაჩვენოს სხვებს და დანაშაულობაც აქნევა ასეთ ადამიანებს სარკე არ დავუდგათ წინ და არ დავანახვოთ თავისი ნამდვილი სახე.

3) რა მიზეზი იყო, რომ მეტეხის ციხიდან გამოსვლის შემდეგ რედაქციაში ჩემთვის ადგილი არ დარჩა. ამასთან რით ხელმძღვანელობდა რედაქცია, როცა, ამხანაგური დახმარების მაგიერ, იმ მცირე ფულის მოცემაზედაც „უარი“ მითხრა, რაც წინანდელ ნამუშევარში მერგებოდა?

ი. კიკვაძე

--

P. S. ცისიდან გამოსვლის დღიდან (19 ივნ ) მე ვიცდიდი თფილისში „ელვის“ რედაქციის გაღების (რედაქცია დაბეჭდა პოლიციამ წარსული აპრილის 15-ს) გულისათვის და აგრეთვე ზემოაღნიშნული ჩემი საქმის მოსაწესრიგებლათ. რედაქცია გააღებინე 4 ივლისს, ხოლო ჩემი საქმე არ მომაწესრიგებიეს. დღეიდან იძულებული ვარ პროვინციაში წავიდე და იქიდან გავეპასუხო „ლამპრის“ რედაქციის წევრებს. აქედან ცხადია, რომ ჩემი პასუხი ისე ცხლათ არ დაიბეჭდება, როგორც ე შეეძლოთ ჩემ მოწინააღმდეგეებს.

ამ საგანზე ჩემი წერილის დაბეჭდვაზე „სიმართლის“ რედაქციამ გადაჭრილი უარი გამომიცხადა.

ი. კ.

---

# დ ე პ ე შ ე ბ ი

(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)

7 ივლისი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი უქაზი:

1) 1906 წლის სახელმწიფოს ძირითადი კანონების 105 მუხლის ძალით ვუბრძანებთ სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილ იქმნას და ახალი სათათბირო მოწვეულ იქნას 1907 წლის 20 თებერვალს. სახელმწიფო სათათბიროში ახალი არჩევნების დროს ცალკე უქაზს გამოვცემთ. უმართებელესმა სენატმა შესაფერი განკარგულება მოახდინოს ამ უქაზის თანახმად“. ნამდვილზე მისი უდიდებულესობის საკუთარი ხელით მოწერილია: „**ნიკოლოზ**“. ნაბოძებია პეტერგოფში 1906 წლის 3 ივლისს.

2) განვიხილეთ რა მინისტრთა საბჭოსგან წარმოდგენილი განსაკუთრებული ჟურნალი პეტერბურგსა და პეტერბურგის გუბერნიაში წესიერების და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვაზე, ჩვენ აუცილებლათ ვცანით გამოვაცხადოთ დასახელებულ ქალაქში და გუბერნიაში გაძლიერებული წესის ნაცვლათ განსაკუთრებული დაცვის წესები. უმართებელესმა სენატმა შესაფერი განკარგულება მოახდინოს ამ უქაზის თანახმად“. ნამდვილზე მისი უდიდებულესობის საკუთარი ხელით მოწერილია „**ნიკოლოზ**“. ნაბოძებია პეტერგოფში 1906 წლის 8 ივლისს.

— ჩუხნინის მკვლელი დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** საომარი დროის წესები გამოაცხადეს კიევის გუბერნიის 12 მაზრაში.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი მდივანი. თ. შახავსკოი დღეს თავრიდის სასახლეში ელოდა სახელმწიფო მდივნის განკარგულებას, დუმის საქმის წარმოების სახელმწიფო კანცელიარიისთვის გადასაცემათ, მაგრამ სახელმწიფო კანცელიარიიდან არავინ არ მოვიდა და შახავსკოი წავიდა თავრიდის სასახლიდან. — ს.-პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტს შახავსკოიმ უთხრა, რომ სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნა მისთვის სრულიად მოულოდნელი ამბავი იყო —ქალაქში სიწყნარეა.

**ქერჩი.** სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის გამო არეულობის თავიდან ასაცილებლათ ქალაქი ჯარით აავსეს.

**სიზრანი.** აგრარული მოძრაობა ძლიერდება.

**პეტერბურგი.** დღეს (9 ივლისს) სახელმწიფო სათათბიროს შენობის ყველა კარები დაკეტილია. შესავალთან პოლიცია სდგას, ჯარი არ სჩანს. ახლო-მახლო ქუჩებში ხალხი სულ არა სჩანს. ქალაქს ჩვეულებრივი სახე აძევს. მხოლოდ ქუჩები ცარიელია და არავითარი მოძრაობა არ არის. დეპუტატებს დუმის შენობაში არ უშვებენ. უშვებენ მხოლოდ დუმის თავმჯდომარეს, მის ორ ამხანაგს, მდივანს, მდივნის ხუთ თანაშემწეს და ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს თავმჯდომარეს. ასეთია დღეს პოლიციის განკარგულება. საღამოს ახალ განკარგულებას ელიან, რადგანაც დუმის შენობაში ბევრი დეპუტატები დოკუმენტებს და წერილებს ინახავდენ. შენობა შიგნით სულ ცარიელია, არც დუმის ჩინოვნიკები არ სჩანან. ღამე ორ საათზე გააღვიძეს ბუფეტის მოსამსახურეები და წაართვეს საკუჭნაოს და სხვა სადგომების კლიტეები. ნაბრძანებია გაიტანონ შენობიდან ყველაფერი.— პეტერბურგის გრადონაჩალნიკს შინაგან საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინოს პოლიციელებში არეულობის შესახებ.

**პეტერბურგი.** დეპუტატების უმეტესობა, განურჩევლათ პარტიებისა, წავიდენ პეტერბურგიდან ფინლიანდიის რკინის გზით. ფინლიანდიაში ისინი მოილაპარაკებენ დუმის დათხოვნის შესახებ.

**პეტერბურგი.** (ოფიციალური) უმაღლესი უქაზის ძალით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გორემიკინი დათხოვნილია სამსახურიდან შინაგან საქმეთა მინისტრი სტოლიპინი დანიშნულია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; შინაგან საქმეთა მინისტრადაც სტოლიპინი დარჩება. მიწათმფლობელობის მმართველი სტიშინსკი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან.

**სარატოვი.** სერდობის მაზრაში აგრარულმა მოძრაობამ იფეთქა.

**პოლტავა.** ეიცე გუბერნატორი კაზაკების თანხლებით დადის და გაფიცულ მუშებს ურჩევს მუშაობა განაახლონ. სოფელ ზუკებში ბევრი დაატყვევეს.

**ვარშავა.** თავდასხმა და ძარცვა გლეჯა საშიშ სახეს იღებს.

**მოსკოვი.** დაიწყო ქალაქის კონკების ფორეიტორების გაფიცვა. ბევრ ადგილას კონკების მოძრაობა შეწყდა.

**კალუგა.** გლეხები სახლებს არბევენ სტრაჟნიკებმა ესროლეს. დაჭრეს 2, მოკლეს 2.

**სამარა.** საშინელმა ცეცხლმა თითქმის მთელი ქალაქი გაანადგურა. დაიწვა 5000 სახლი, 7 საყდარი, ქალების მონასტერი ბანკები, ხაზინა, ტელეგრაფი, სამი წის კვილი, რამდენიმე ქარხანა, ყაზანის ვოგზალი, რკინის გზის სადგური, ასი ვაგონი პურით სავსე. დამწვარი კაცი ჯერჯერობით 400 იპოვნეს. 45,000 მცხოვრებლები ულუკმა პუროთ არიან.

**სიმბირსკი.** მუშებსა და სტრაჟნიკებს შორის მწვავე შეტაკება მოხდა.

**ლიტინი.** ღამე აღმოაჩინეს ერთ კერძო სახლში სოციალისტთა საიდუმლო კრება. ქალაქი ჯარებით სავსეა.

**ოდესა.** ხვალ ასაფლავებენ მოკლულ კაზაკს. მცხოვრებლები შიშით ელიან დარბევას. ღამე დაიჭირეს მემარცხენე პარტიების ბევრი წარმომადგენლები.

**ბობროვი.** ყოველი მხრიდან მოყავთ დაჭერილი გლეხები.

---

რედ.-გამომც. **ნ. ახმეტელაშვილი.**


## განცხადება.

**1906 წლის 5 ივლისიდან გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი -**

## „სიმართლე“

გაზეთის ფასი წლიურათ 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მ. 50 კ.

ქალაქს გარეთ თვიურათ 80 კ. ქალაქში 75 კ. მუშებისათვის 60 კ. ცალკე № ყოველგან 5 კ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე № 17.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „Симартле“.